საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი
საჯარო წიგნთსაცავი

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერალიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის აგვისტოს 15	№ 14 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

მუხ. 168. საფეიქრო ნაკეთობის საბითუმო საპრეისკურანტო ფასების შემცირების შესახებ.

„ 169. ჩიონის სარაიონო ჰიდრო-ელეკტრო-სადგურის მშენებლობის საორგანიზაციო ფორმის შესახებ.

„ 170. ამიერკავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტში სამხედრო უწყების წარმომადგენლის მონაწილეობის შესახებ.

„ 171. ძორაგეთის სარაიონო ჰიდრო-ელეკტრო-სადგურის მშენებლობის საორგანიზაციო ფორმის შესახებ.

„ 172. ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობებისათვის კრედიტად მისაცემ ფონდების ბარჯვის წესის შესახებ.

„ 173. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების მოწყობის შესახებ“ და „არა-სალიკვიდო ფონდების რეალიზაციისა და აღნუსხვის წესისა და არა-სალიკვიდო ქონების რეალიზაციის ბიუროს მოწყობის თაობაზე“ გამოცემულ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 12 აკსფსრ ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ივლისის 30.

168. საფეიქრო ნაკეთობის საბითუმო საპრეისკურანტო ფასების შემცირების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტისა და საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. ივლისის 15-ს თარიღისა და 157 №-რის დადგენილების თანახმად,—ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, ა/წ. მარტის 2-ს თარიღისა და 7/122 №-რის, დადგენილების დასამატებლად,—აღგენს:

1. შემცირებულ იქნეს გასინდიკატებული ტრესტების ბამბის ნაკეთობის საბითუმო საგასაცემო ფასები ა/წ. თებერვლის 15-ს პრეისკურანტით, საშუალოდ, 4,14 პროცენტით.

აღნიშნული საშუალო % გადიფერენციალებულ იქნეს ნაკეთობათა ცალკე ჯგუფებისათვის შემდეგი რაოდენობით:

ა) ჩითის ჯგუფისთვის	10%-თ
ბ) მიტკალ-ნარმისათვის	10%-თ
გ) თეთრეულის ნარმისათვის	1,45%-თ
დ) სადემისეზონო ტანსაცმლის ნაკეთობისათვის	1,67%-თ
საზაფხულო ტანსაცმლის ნაკეთობისათვის	1,8%-თ
საზამთრო ტანსაცმლის ნაკეთობისთვის	3,48%-თ
სამოსლის სადად შეღებილი ნაკეთობისათვის	3,32%-თ
სამოსლის დაჩითული ნაკეთობისათვის	3,77%-თ
სპეციალური ჭრელი ქსოვილისათვის	2,73%-თ
სასარჩულო ჭრელი ქსოვილისათვის	1,04% თ
თოფობით ჭრელი ქსოვილისათვის	1,76%-თ
აზიური ჭრელი ქსოვილისათვის	1,24%-თ
სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის წანამატ-ფასის ანგარიშში	0,6%-თ.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ფასების შემცირების საფუძველზე შედგენილი და საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ა/წ. ივლისის 15-ს დამტკიცებული სრულიად საკავშირო საფეიქრო სინტის პრეისკურანტი გასინდიკატებული ტრესტების მიერ დამუშავებული ბამბის ნაკეთობის საბითუმო საგასაცემო ფასებისა სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ა/კსფსრ-ში:

ა) სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებთან დადებული ყველა საბითუმო გარიგებისათვის—ა/წ. ივლისის 15-დან; თანაც იგი გავრცელებულ იქნეს ყველა წინად დადებული გარიგების იმ ნაწილზე, რომლითაც აღნიშნული ვადისათვის საქონლის პირტიები ჩაბარებული არ იქნება;

ბ) სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან წარმოებული ყველა წვრილ-საბითუმო ოპერაციისათვის—ა/წ. აგვისტოს 1-დან;

გ) კერძო პირებთან დადებული ყველა გარიგებისათვის—ამა დადგენილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

შენიშვნა. ამა დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნული პრეისკურანტი ამასთანავეა დართული.

3. გასინდიკატებული ტრესტი, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაცია და დაწესებულება მოვალეა ა/წ. ივლისის 15-დან სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის იმ ბამბის ქსოვილთა მიყიდვის დროს, რაც ამა დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნულ პრეისკურანტში შეტანილი არ არის და რაც ა/წ. იელისის 14-ს შემდეგ ტრესტების საწყობებში და საქონლის გამტარებელ ქსელში იქნება, საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ საბითუმო ფასებს, რაც ა/წ. თებერვლის 15-მდე მოქმედებდა, შეუფარდოს 9 პროცენტის რაოდენობის მონაკლები.

4. სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის მიერ საფეიქრო ნაკეთობის უშუალოდ ფაბრიკიდან გაცემის დროს—ამ სინდიკატის სასარგებლოდ გადასახდევნებელი 0,85 პროც. ზედნართი გაუქმებულ იქნეს.

5. სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა ბამბის ნანუფაქტურის ცალობითი ფასები ა/კსფსრ-ში უნდა შეამცირონ ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხლ. საფუძველზე ა/წ. აგვისტოს 25-დან.

6. ყველა სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც კი ბამბის მანუფაქტურას ასაღებს, მოვალეა, ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხლ. თანახმად, მოახდინოს სათანადო შესწორება აღნიშნული ქსოვილების ნაჭრებისათვის დართული იარლიკებისა:

ა) საბითუმო და წვრილ-საბითუმო ვაჭრობისათვის—ა/წ. აგვისტოს 1-დან.

ბ) ცალობითი ვაჭრობისათვის—ა/წ. აგვისტოს 25-დან.

7. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

8. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შიხ-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსსურ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწვ. და სასურსათო საქონ. სამმართვ. უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1546 №-ში 1927 წ. აგვისტოს 7-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 35 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

169. რიონის სარაიონო ჰიდრო-ელექტრო-სადგურის მშენებლობის საორგანიზაციო ფორმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რიონის სახელმწიფო ელექტრო-სადგურის მშენებლობისათვის უშუალო მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს რიონის სახელმწიფო სარაიონო ელექტრო-სადგურის სამშენებლო კომიტეტს, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს.

2. მიეცეს აღნიშნულ კომიტეტს შემდეგი უფლება:

ა) წარუდგინოს ხოლმე, მთავარი საელექტრო სამმართველოს მეშვეობით, სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად მშენებლობის მთავარი ინჟენერი და—მთავარ საელექტრო სამმართველოს დასამტკიცებლად მთავარი ინჟენერის მოადგილე;

ბ) განსაზღვროს ხოლმე მთავარი ინჟენერისა და მისი მოადგილისათვის გასამრჯელოს რაოდენობა.

შენიშვნა 1. პასუხის მიუღებლობა სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან ორი კვირის ვადაზე ჩაითვლება, რომ ამა მუხლის „ა“ პუნ. აღნიშნული დანიშნულებანნი დამტკიცებულია.

შენიშვნა 2. „ა“ პუნქ. აღნიშნულ პირთა დათხოვნა მოხდება იმავე წესით, როგორც მათი დანიშვნა.

გ) გამოსცეს მშენებლობის მთავარი ინჟენერისათვის ინსტრუქცია მომქმედ კანონდებულებათა, მშენებლობის დებულებისა და სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ—მთავარ საელექტრო სამმართველოს ხაზით—გამოცემული საერთო ტიპიური ინსტრუქციების საფუძველზე;

დ) იზრუნოს ღონისძიება, რათა მშენებლობამ თავის დროზე წარადგინოს ხოლმე მთავარ საელექტრო სამმართველოში ხარჯთაღრიცხვების პროექტები, საწარმოო, საფინანსო და საკრედიტო გეგმები, ანგარიშები და ბალანსები და თვალყური ადევნოს მშენებლობის მიერ მთავარ საელექტრო სამმართველოსაგან დაწესებული ტეხნიკური, ფინანსიური და სტატისტიკური ცნობების თავის დროზე წარდგენას, აგრეთვე იმას, რათა მშენებლობამ მთლად ანგარიშგება მთავარ საელექტრო სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმების მიხედვით აწარმოოს;

ე) მისცეს, მთავარ საელექტრო სამმართველოსაგან დაწესებულ ვადაზე, დასკვნა მშენებლობის მიერ მთავარ საელექტრო სამმართველოში დასამტკიცებლად წარდგენილი ხარჯთაღრიცხვებისა, საწარმოო-საფინანსო და საკრედიტო გეგმებისა, ანგარიშებისა და დასრულებითი ბალანსების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. ამა მუხ. „ე“ პუნქ. აღნიშნულ მასალებს მშენებლობა გაუგზავნის ერთსა-და-იმავე დროს მთავარ საელექტრო სამმართველოს და კომიტეტს.

შენიშვნა 2. წლიური ხარჯთაღრიცხვები, დასრულებითი ბალანსები და საწარმოო პროგრამები მთავარ საელექტრო სამმართველოში განიხილება კომიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობით და დამტკიცდება არსებული წესისამებრ სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ.

3) თვალყური ადევნოს, რათა მშენებლობამ ზედმიწევნით შეასრულოს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვები, პროგრამები, საკალენდრო გეგმები და სხვ. და მიზანშეწონილად გამოიყენოს მის ხელთქონებული ფინანსიური და მატერიალური შესაძლებლობა;

ზ) წარუდგინოს ხოლმე სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მთავარ საელექტრო სამმართველოს ხაზით,—ამ სამმართველოს მიერ დაწესებულ ვადაზე, მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ მშენებლობისათვის მეთვალყურეობის გაწევის სფეროში.

3. აღნიშნულ უფლებათა განახორციელების დროს კომიტეტი დაიცავს სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (მთავარ საელექტრო სამმართველოს ხაზით) ყველა მომქმედ დადგენილებას და განკარგულებას, რაც-კი მშენებლობას შეეხება. ამასთანავე:

ა) მთავარ საელექტრო სამმართველოს მშენებლობის მთავარ ინჟენერთან უშუალო ურთიერთობა აქვს; ქალაქდების ასლები პრინციპიალური საკითხების გამო ერთსა-და-იმავე დროს ეგზავნება კომიტეტსაც;

ბ) უკეთუ მთავარი ინჟენერი თანახმა არ არის კომიტეტის დადგენილებისა და დირექტივისა, იგი დაუყოვნებლივ სათანადო მოხსენებას წარუდგენს სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მთავ. საელ. სამმართველოს ხაზით,—ისე კი, რომ კომიტეტის დადგენილებასა და განკარგულებას არ შეაჩერებს; უმაღლესი საბჭო ამ საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს;

გ) კომიტეტი მოვალეა შეასრულოს მთავ. საელ. სამ—ლოს ყველა განკარგულება, რასაც კი კავშირი აქვს სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ კომიტეტისათვის მინიჭებული უფლების განხორციელებასთან მშენებლობის მოქმედების მოწესრიგების სფეროში.

ა/კსფრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. ივლისის 21.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1549 №-ში 1927 წ. აგვისტოს 11-ს.

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 37 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

170. ამიერკავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტში სამხედრო უწყების წარმომადგენლის მონაწილეობის შესახებ.

რათა სამხედრო უწყების ინტერესები სათანადოდ იქნეს წარმოდგენილი ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ ამიერკავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტში, ა/სფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: შევსებულ იქნეს აღნიშნული კომიტეტის შედგენილობა სამხედრო უწყების წარმომადგენლით და იმავე კომიტეტის დებულების მე-4 მუხ. (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-რი, მუხ. 115) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 4. ამიერკავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტის შედგენილობაში შედიან შემდეგ უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლნი: ორი წარმომადგენელი ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, თითო წარმომადგენელი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირებისა, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, სამხედრო უწყებისა, სსრკ სახელმწიფო ბანკისა, ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და სამომხმარებლო კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირისა.

შენიშვნა. სასაცივრო კომიტეტს უფლება აქვს მიიწვიოს ხოლმე თავის სხდომებზე, სათათბირო ხმის უფლებით, დაინტერესებულ უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლნი და, აგრეთვე, მცოდნე პირნი.

ა/კსფსრ სახ. კომის. საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახ. კომის. საბჭოს საქ. მმართ. მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 აგვისტოს 4.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1549 №-ში 1927 წ. აგვისტოს 11-ს.

დადგენილება № 36 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

171. ძორაგეთის სარაიონო ჰიდრო-ელექტრო-სადგურის მშენებლობის საორგანიზაციო ფორმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I ძორაგეთის სახელმწიფო ელექტრო-სადგურის მშენებლობისათვის უშუალო მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს ძორაგეთის სახელმწიფო სარაიონო ელექტრო-სადგურის სამშენებლო კომიტეტს, რომელიც სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. მიეცეს აღნიშნულ კომიტეტს შემდეგი უფლება:

ა) წარუდგინოს ხოლმე, მთავარ საელექტრო სამმართველოს მეშვეობით, სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად მშენებლობის მთავარი ინჟენერი და—მთავარ საელექტრო სამმართველოს დასამტკიცებლად მთავარი ინჟენერის მოადგილე;

ბ) განსაზღვროს ხოლმე მთავარი ინჟინერისა და მისი მოადგილისათვის გასამრჯელოს რაოდენობა;

შენიშვნა 1. პასუხის მიუღებლობა სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან ორი კვირის ვადაზე ჩაითვლება, რომ ამა მუხლის „ა“ პუნ. აღნიშნული დანიშნულებანი დამტკიცებულია.

შენიშვნა 2. „ა“ პუნ. აღნიშნულ პირთა დათხოვნა მოხდება იმავე წესით, როგორც მათი დანიშვნა.

გ) გამოსცეს მშენებლობის მთავარი ინჟენერისათვის ინსტრუქცია მომქმედ კანონდებულებათა, მშენებლობის დებულებისა და სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ—მთავარ საელექტრო სამმართველოს ხაზით—გამოცემულ საერთო ტიპიური ინსტრუქციების საფუძველზე;

დ) იხმაროს ღონისძიება, რათა მშენებლობამ თავის დროზე წარადგინოს ხოლმე მთავარ საელექტრო სამმართველოში ხარჯთაღრიცხვების პროექტები, საწარმოო, საფინანსო და საკრედიტო გეგმები, ანგარიშები და ბალანსები და თვალყური ადევნოს მშენებლობის მიერ მთავარ საელექტრო სამმართველოსაგან დაწესებული ტეხნიკური, ფინანსიური და სტატისტიკური ცნობების თავის დროზე წარდგენას, აგრეთვე იმას, რათა მშენებლობამ მთლად ანგარიშგება მთავარ საელექტრო სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმების მიხედვით აწარმოოს;

ე) მისცეს, მთავარ საელექტრო სამმართველოსაგან დაწესებულ ვადაზე, დასკვნა მშენებლობის მიერ მთავარ საელექტრო სამმართველოში დასამტკიცებლად წარდგენილი ხარჯთაღრიცხვებისა, საწარმოო-საფინანსო და საკრედიტო გეგმებისა, ანგარიშებისა და დასრულებითი ბალანსების შესახებ.

შენიშვნა 1. ამა მუხ. „ე“ პუნ. აღნიშნულ მასალებს მშენებლობა გაუგზავნის ერთსა-და-იმავე დროს მთავარ საელექტრო სამმართველოს და კომიტეტს.

შენიშვნა 2. წლიური ხარჯთაღრიცხვები, დასრულებითი ბალანსები და საწარმოო პროგრამები მთავარ საელექტრო სამმართველოში განიხილება კომიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობით და დამტკიცდება არსებული წესისამებრ სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ.

ვ) თვალყური ადევნოს, რათა მშენებლობამ ზედმიწევნით შეასრულოს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვები, პროგრამები, საკალენდრო გეგმები და სხვ. და მიზანშეწონილად გამოიყენოს მის ხელთ ქონებული ფინანსიური და მატერიალური შესაძლებლობა;

ზ) წარუდგინოს ხოლმე სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მთავარ საელექტრო სამმართველოს ხაზით,—ამ სამმართველოს მიერ დაწესებულ ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზე, მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ მშენებლობისათვის მეთვალყურეობის გაწევის სფეროში.

III. აღნიშნულ უფლებათა განხორციელების დროს კომიტეტი დაიცავს სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (მთავარ საელექტრო სამმართველოს ხაზით) ყველა მომქმედ დადგენილებას და განკარგულებას, რაც კი მშენებლობას შეეხება. ამასთანავე:

ა) მთავარ საელექტრო სამმართველოს მშენებლობის მთავარ ინჟენერთან უშუალო ურთიერთობა აქვს; ქაღალდების ასლები პრინციპიალური საკითხების გამო ერთსა-და-იმავე დროს ეგზავნება კომიტეტსაც;

ბ) უკეთუ მთავარი ინჟენერი თანახმა არ არის კომიტეტის დადგენილებისა და დირექტივისა, იგი დაუყოვნებლივ სათანადო მოხსენებას წარუდგენს სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მთავარი საელექტრო სამმართველოს ხაზით,—ისე კი, რომ კომიტეტის დადგენილებასა და განკარგულებას არ შეაჩერებს; უმაღლესი საბჭო ამ საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს;

გ) კომიტეტი მოვალეა შეასრულოს მთავარ საელექტრო სამმართველოს ყველა განკარგულება, რასაც კი კავშირი აქვს სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ კომიტეტისათვის მინიჭებული უფლების განხორციელებასთან მშენებლობის მოქმედების მოწესრიგების სფეროში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხ. კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. ივლისის [redacted] ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1550 №-ში 1927 წ. აგვისტოს 12-ს.

დადგენილება № 38 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

172. ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის კრედიტად მისაცემი ფონდების ხარჯვის წესის შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის კრედიტის მიცემის მიზნით ამ საბჭოთა მეურნეობათაგან შემოსული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განსაკუთრებულ ფონდში მიქცევის შესახებ" 1927 წ. მაისის 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. თანახმად (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 27 №-რი, მუხ. 288), ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან შემოსული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, საუბნო-სადაირო-სათემო ბიუჯეტში უშუალოდ გადასაცემი ანარიცხის გამოკლებით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში მიიქცევა ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის კრედიტად მისაცემ განსაკუთრებულ ფონდში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ თანხებს, შემოსვლისადა კვალად, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები გადასცემენ სათანადო რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკებს.

3. სესხი ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათ მიეცემათ განსაზღვრულ სარენტაბელო ღონისძიებათათვის, რომელთაც აგრიკულტურული მნიშვნელობა აქვთ.

4. ფონდის ხარჯვის გეგმას დაიწესებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და სასოფლო-სამეურნეო ბანკთან შეთანხმებით, და დამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

5. სესხი გაიცემა მოკლევადიანი და გრძელვადიანი, ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა; ამასთანავე სესხის რაოდენობა და დაფარვის ვადა განისაზღვრება იმისდამიხედვით, თუ რა ხასიათისაა ის ღონისძიება, რომლის განხორციელებისათვისაც სესხია გაცემული და რამდენად ეპირვება ეს სესხი კრედიტ-მისაცემ საბჭოთა მეურნეობას.

6. პასუხისმგებლობა საბჭოთა მეურნეობების მიერ მიღებული სესხის თავის დროზე დაბრუნებისათვის რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკს დაეკისრება.

7. ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის კრედიტად მისაცემი ფონდის გამოყენების დაწვრილებითი ანგარიშს ~~ყოველწლიურად~~ რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკი წარუდგენს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს, ხოლო რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატი—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. აგვისტოს 4.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1551 №-ში 1927 წ. აგვისტოს 13-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 39 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

173. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების მოწყობის თაობაზე“ და „არა-სალიკვიდო ფონდის რეალიზაციისა და აღნუსხვის წესისა და არა-სალიკვიდო ქონების რეალიზაციის ბიუროს მოწყობის თაობაზე“ გამოცემულ დადგენილებათა გაუქმების შესახებ“.

„სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების ლიკვიდაციის შესახებ“ 1927 წ. აპრილის 14-ს თარიღისა და მე-16 №-რის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-8 №-რი, მუხ. 97) განსავითარებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს—გაუქმებულ იქნეს:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 30-ს თარიღისა და 23 №-რის დადგენილება „ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების მოწყობის შესახებ“ (ა/კსფსრ კანონთა კრებ. 1925 წ. მე-5 №-რი, მუხ. 422).

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 17-ს თარიღისა და 46 №-რის დადგენილება „არა-სალიკვიდო ფონდის რეალიზაციისა და აღნუსხვის წესისა და არა-სალიკვიდო ქონების რეალიზაციის ბიუროს მოწყობის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. № 9, მუხ. 499).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. აგვისტოს 4.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1552 №-ში 1927 წ. აგვისტოს 14-ს.

საქართ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტ № 2139. ტირაჟი 800.